“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი)

დაიწყო მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში. პირველი კალენდარული მატჩი თბილისში ჩატარდა 2 მაისს. ამ დღეს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონის საფეხბურთო მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის “ზენიტისა” და თბილისის “დინამოს” სანიმუშო გუნდები.

ანგარიში გაიხსნა პირველი ტაიმის მე–15 წუთზე. პაიჭაძის მიერ მოხერხებულად მიწოდებული ბურთი ზუსტად გამოიყენა ჯეჯელავამ და გაახვია იგი ”ზენიტის” კარის ბადეში. საპასუხო ბურთის გატანა სტუმრებმა ლამაზი კომბინაციით შეძლეს ტაიმის დასასრულს.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ – 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში ლენინგრადელებმა გააძლიერეს ტემპი. 25-ე წუთზე მათ ისარგებლეს ფროლოვის შეცდომით და გარღვევაზე გასვლით გაიტანეს მეორე ბურთი.

თამაშის დამთავრებამდის სულ 8 წუთიღა დარჩა. თითქოს წააგეს თბილისელებმა მატჩი, მაგრამ აი რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი და დინამოელებმა გაათანაბრეს ანგარიში – 2:2. “ზენიტის” დამცველთა რიგებში დაბნეულობამ იჩინა თავი. ამით ისარგებლა ბერეჟნოიმ და გაიტანა მესამე ბურთი, ხოლო ტაიმის მიწურულში საჯარიმო გარტყმით გაგუამ გაადიდა ანგარიში.

პირველი კალენდარული მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით – 4:2.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 5 მაისი, 1940 წ.